

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტი**

**სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი  
სატენდერო კომისიის სხდომის**

**ოქმი №1**

**09 დეკემბერი, 2016 წელი**  
**ქ. ზუგდიდი (რუსთაველის ქ. №90)**

**სხდომას ესწრებოდნენ:**

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

ლაშა გოგია – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

სატენდერო კომისიის წევრები

მამუკა წოწერია – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე;

თენგიზ შანავა – ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

რუსლან კილასონია – ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის  
სამსახურის უფროსი;

ლაშა ჯაიანი – მშენებლობის სამსახურის უფროსი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი

ბესიკ ქარდავა – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის შემადგენლობის უმრავლესობით – ხუთი წევრის  
დასწრებით.

**სხდომის დღის წესრიგი:**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა.




**მოისმინეს:** სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ლ. გოგიას ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2017 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით და კომისიას განსახილველად გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია წარუდგინა.

**სხდომის მსვლელობა:** სატენდერო კომისიამ განიხილა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები. დაადგინა ტექნიკური დავალების მონაცემები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხელშეკრულების პირობები და პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი სატენდერო წინადადების ფორმები. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 8774,12 ლარით.

**კომისიამ გადაწყვიტა:** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად დამტკიცდეს, დასუფთავების მომსახურების შესყიდვაზე წარმოდგენილი განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია (ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია თან ერთვის).

დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს: უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების თაობაზე განცხადების განთავსება და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)).

კომისიის წევრები:

1.  ლ. გოგია
2.  მ. წოწერია.
3.  თ. შანავა.

(თავმჯდომარე). 4.  რ. კილასონია.

5.  ლ. ჯიანი.

კომისიის აპარატის წევრი:

1.  ბ. ქარდავა.